სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	87	100

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ქეთევან ცინცაძე

თარიღი : 16.09.24

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით გამოცხადებულ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ვლადიმერ წითლაურის

შეფასება

16 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი

<u>კანდიდატის - ვლადიმერ წითლაურის</u> მიერ <u>წარმოდგენილი დოკუმენტაციის</u> და <u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის</u> (რეკომენდატორთა და რესპოდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისციპლინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტიდან; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) <u>შესწავლისა</u> და <u>კანდიდატთან ჩატარებული ღია გასაუბრების შედეგების საფუძველზე,</u> „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის - ვლადიმერ წითლაურის** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი: ვლადიმერ წითლაური

ასაკი: 34 წელი

განათლება: სამართლის დოქტორი

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 12 წელი და 6 თვე

1. **კანდიდატის ვლადიმერ წითლაურის - შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:**

1.1 **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისი**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, თვითკრიტიკულობას, პასუხისმგებლობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. ამასთან, კანდიდატს ახასიათებენ, როგორც თავაზიან, სამართლიან, კეთილსინდისიერ, დამოუკიდებელ, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე საიმედო პიროვნებას.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი.

შეფასების პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ფიქსირდება.

ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან (რეკომენდატორები; რესპონდენტები), მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რაიმე ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას, არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპოდენტთა მიერ შევსებული კითხვარების, დისციპლინური დევნის/სისხლისამართლებრივი ბრალდების არ არსებობის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში (კითხვარები; ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ არსებული ინფორმაცია), რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია კანდიდატის პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ წარმოდგენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასათებელსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატმა - ვლადიმერ წითლაურმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელი დააკმაყოფილა სრულად, მივიჩნევ, რომ იგი - აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს სრულად.

2. **კანდიდატის ვლადიმერ წითლაურის - შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:**

2.1 **სამართლებრივი ნორმების ცოდნა**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა კანდიდატის მიერ ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება კანდიდატის მიერ სამართლებრივი ნორმების ცოდნის თვალსაზრისით (ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლი) და გასაუბრების პროცესში მის მიერ დამატებით გამოვლენილი ცოდნა.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ვლადიმერ წითლაური სისხლის სამართლის სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას.

ადმინისტრაციულ სამართალში ვლადიმერ წითლაურმა წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

სამოქალაქო სამართალში ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში.

ამასთან, საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატმა სრულყოფილად იმსჯელა შეჯიბრებითობის პრინციპზე სისხლის პროცესში; აბსოლუტურ უფლებებზე; მტკიცებულებათა არარარსებობის პირობებში განაჩენის გამოტანის საკითხზე; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე და ა.შ.

ამდენად, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში, იგი უნდა შეფასდეს - 22 ქულით.

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

<u>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.</u>

საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის გამოცდილება - 12 წელი და 6 თვე.

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 21 ქულით.

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

სსიპ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემაჯამებელი შეფასების თანახმად, კანდიდატი იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას. წერილობითი დოკუმენტები შედგენილია მარტივი და გასაგები ენით, თუმცა შეიცავს მცირე რაოდენობის სტილისტურ და გრამატიკულ ხარვეზებს.

ამასთან, საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად, გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კანდიდატის შეფასება უნდა განხორციელდეს - 16 ქულით.

2.4 პროფესიული თვისებები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეკომენდატორთა და რესპოდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისებების შესახებ, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

2.5 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი.

პროფესიული განვითარების მიზნით, კანდიდატს მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021წ.;
- ლექტორის (ინსტრუქტორის) მომზადების კურსი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021წ.;
- სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021წ.
- სასაზღვრო და სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022წ.;
- გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე - ამერიკის საელჩო, 2023 წ. და სხვა.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

ამდენად, აღნიშნულ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 9 ქულით ქულით.

2.7 **პროფესიული აქტივობა**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი,

იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი პუბლიკაცია/ნაშრომები:

- „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015წ.;
- „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული N8, 2017წ.;
- „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4, თბ. 2022წ.;
- ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბ. 2011წ.;
- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, 2024წ.

ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით, პროფესიული აქტივობის გათვალისწინებით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 4 ქულით.

დასკვნა კანდიდატის ვლადიმერ წითლაურის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატის მიერ თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს - 87 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 22 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 21 ქულა
3. წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 16 ქულა
4. პროფესიული თვისებები - 15 ქულა
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 9 ქულა
6. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე